საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>მანუჩარ კაკოჩაშვილი</u>

# ბიულეტენი

| |
|---|
| კენჭისყრა - 09.07.2025 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან წემსაძის კანდიდატურა? |
| დიახ (circled) არა |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**9 ივლისი, 2025 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საბჭოს 2025 წლის №1/38 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძეც.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტისა და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგენს **1185** ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის **91,15 %.** ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით 13 წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.
მასთან ჩატარებული გასაუბრებისა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული შთაბეჭდილებების, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების ანალიზის საფუძველზე, მიმაჩნია რომ, ლევან ნემსაძეს გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის წარმატებით და პროდუქტიულად განხორციელებისათვის აუცილებელი როგორც პიროვნული, ისე პროფესიული თვისებები და უნარები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ერთი კანდიდატი - ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისათვის ლევან ნემსაძის კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**მანუჩარ კაკოჩაშვილი**